ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. მაისის 10. № 8 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

65. საქართველოს სსრ საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების დამტკიცების შესახებ.

—დებულება საქართველოს სსრ საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

65. დადგენილება ც.ა.კ.

საქართველოს სსრ საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების დამტკიცების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1930 წ. ოქტომბრის 13-ის დადგენილებით დამტკიცებული „საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ძირითადი საფუძვლების“ შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-52 №-ი, მუხ. 544 და 545) და თანახმად ა/კ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წ. ნოემბრის 24-ის დადგენილებისა (ოქმი № 36) „ა/კ სფსრ-ის საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ორგანიზაციის წესის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიითურთ, ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინოს დადგენილების პროექტი საქ. სსრ-ის მომქმედ კანონმდებლობაში იმ ცვლილებების შეტანის შესახებ, რაც 1 მუხლში აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ის ცვლილებანი, რაც 1 მუხლში აღნიშნული დებულების სამოქმედოდ შემოღებასთან იქნება დაკავშირებული.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. თებერვლის 22.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. საბჭოთა სარაიონო ყრილობა, ხოლო ერთი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია რაიონის ტერიტორიაზე.

2. საბჭოთა სარაიონო ყრილობისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ძირითად ამოცანას შეადგენს:

ა) შეთვალყურეობა გაუწიონ რევოლიუციონური კანონიერების გატარებას და განახორციელონ საბჭოთა ხელისუფლების კანონები და განკარგულებანი; განუმარტონ ეს კანონები და განკარგულებანი მოსახლეობას; განახორციელონ კონტროლი იმისათვის, რომ ყველა ორგანომ, ორგანიზაციამ და მოქალაქემ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის ფარგლებში, შეასრულოს კანონები; აღკვეთონ ყოველგვარი წინააღმდეგობა საბჭოთა ხელისუფლების კანონთა და ღონისძიებათა მიმართ; აწარმოონ ბრძოლა კლასიური პროლეტარული პოლიტიკის დამახინჯებასთან კანონების შეფარდების საქმეში და საბჭოთა ორგანოებისა, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელს პრაქტიკულ მუშაობაში; განიხილონ საერთო-საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის საკითხები და შეიტანონ ზემდგომ ორგანოებში ადგილობრივ გამოცდილებასა და ინიციატივაზე დამყარებული საკანონმდებლო წინადადებანი;

ბ) დარაზმონ მუშათა, კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა მასები და გლეხობის საშუალო ფენები, რათა შესრულებულ იქნეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის გეგმა კოლექტივიზაციის, კოოპერაციის და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საფუძველზე;

გ) განუხრელად განახორციელონ სოფლის და ქალაქის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის პოლიტიკა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე;

დ) ჩააბან მშრომელი მასები უშუალო სახელმწიფო მმართველობაში; დააწინაურონ მუშები, კოლმეურნენი, მოჯამაგირენი, შვებული წითელარმიელები, ღარიბი და საშუალო გლეხები აპარატში სამუშაოდ; განახორციელონ ღონისძიებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და საბჭოთა აღმშენებლობის მომუშავეთა კადრების მოსამზადებლად და გადასამზადებლად;

ე) ფართოდ გაშალონ თვითკრიტიკა, სოციალისტური შეჯიბრი და დამკვრელობა; გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან და უყაირათობასთან; მოაწყონ ფართო საზოგადოებრივი კონტროლის გაწევა ყველა დაწესებულებისა, საწარმოს და კოოპერაციის მუშაობისათვის რაიონის ფარგლებში;

ვ) განახორციელონ კულტურული რევოლიუცია საყოველთაო დაწყებითი სწავლების გატარებით, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციით და სხვა ღონისძიებებით, რაც მიმართული იქნება მასების პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებისათვის; აღმოფხვრან ქალთა ძველი საყოფაცხოვრებო, ეკონომიური და უფლებრივი დამონების ნაშთები; შექმნან პირობები მშრომელთა ყოფაცხოვრების გარდასაქმნელად სოციალისტურ ნიადაგზე;

ზ) განახორციელონ საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა;

თ) ხელი შეუწყონ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მშენებლობას და განახორციელონ რაიონის ძალებისა და სახსარის ორგანიზაცია სსრ კავშირის თავდაცვის უნარის ასამაღლებლად.

3. საბჭოთა სარაიონო ყრილობები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები ხელმძღვანელობას უწევენ ყველა სარაიონო დაწესებულების და რაიონის სასოფლო და საქალაქო საბჭოს მოქმედებას, ანხორციელებენ საერთო შეთვალყურეობას და კონტროლს იმ დაწესებულებათა და საწარმოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის მიმართ, რომელნიც რაიონის ტერიტორიაზე იმყოფებიან და საბჭოთა ორგანოებს არ ექვემდებარებიან, და ხელს უწყობენ მათ მუშაობას, ამასთანავე აცნობებენ სათანადო ორგანოებს ყველა შემჩნეულ დეფექტს.

შენიშვნა. იმ სოფლების საბჭოების მიმართ, რომლებიც ქალაქთან არიან შეერთებული, და ამ სოფლების ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულებათა და საწარმოთა მიმართ საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ყველა უფლება-მოვალეობას ანხორციელებენ სათანადო საქალაქო საბჭო და მისი პრეზიდიმი, რომლებიც აღნიშნულ შემთხვევაში ხელმძღვანელობენ ამ დებულებით გათვალასწინებულ წესებს.

II. საბჭოთა სარაიონო ყრილობა.

4. საბჭოთა სარაიონო ყრილობა შესდგება:

ა) რაიონის სასოფლო საბჭოების წარმომადგენლებისაგან იმ ანგარიშით, რომ 300 მცხოვრებზე მოდიოდეს ერთი დელეგატი; ბ) რაიონის შედგენილობაში შემავალი საქალაქო საბჭოების წარმომადგენლებისაგან იმ ანგარიშით, რომ 60 ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დელეგატი; გ) სოფლებში ან სასოფლო საბჭოების მქონე ქალაქებში მდებარე ქარხანა-ფაბრიკების წარმომადგენლებისაგან და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლებისაგან იმ ანგარიშით, რომ 60 ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დელეგატი.

5. დელეგატები საბჭოთა სარაიონო ყრილობისათვის ირჩევიან სასოფლო და საქალაქო საბჭოების პლენუმებზე.

6. ის საქალაქო საბჭოები, რომელნიც გამოყოფილი არ არიან დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად და უშუალოდ არ ექვემდებარებიან საქართველოს სსრ, აფხაზეთის ავტონომიური სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ექვემდებარებიან საბჭოთა სარაიონო ყრილობებს.

7. საბჭოთა სარაიონო ყრილობა არის მორიგი და საგანგებო.

8. საბჭოთა მორიგ სარაიონო ყრილობას იწვევს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი იმ ვადებზე, რასაც საზღვრავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

საბჭოთა სარაიონო ყრილობების მოწვევის ვადებს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში საზღვრავს სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დადგენილი ვადების ფარგლებში.

9. საბჭოთა საგანგებო სარაიონო ყრილობას იწვევს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) რესპუბლიკანური საბჭოთა ყრილობისა ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით;

ბ) იმ საბჭოების მოთხოვნით, რომელნიც რაიონის მოსახლეობის ერთ მესამედს მაინც აერთიანებენ;

გ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით.

10. საბჭოთა სარაიონო ყრილობის მოწვევის დღეს და მისი დღის წესრიგს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ერთი თვით ადრე მაინც აცნობებს საქალაქო და სასოფლო საბჭოებს და აქვეყნებს საყოველთაო ცნობისათვის, აგრეთვე აცნობებს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული ვადა შეიძლება შემცირებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც მოწვეულ იქნება საგანგებო საბჭოთა სარაიონო ყრილობა.

11. საბჭოთა სარაიონო ყრილობა ირჩევს:

ა) პრეზიდიუმს—ყრილობის მუშაობის ხელმძღვანელობისათვის;

ბ) სამანდატო კომისიას—დეპუტატების უფლება-მოსილობის შესამოწმებლად.

12. ყველა საკითხი საბჭოთა სარაიონო ყრილობაზე სწყდება ახდილი ხმის მიცემით და ხმის მარტივი უმეტესობით.

13. საბჭოთა სარაიონო ყრილობა ასრულებს შემდეგ ამოცანებს:

ა) ამტკიცებს, ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების დირექტივების თანახმად, რაიონის სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმებს, სარაიონო ბიუჯეტს და ადგილობრივი ბიუჯეტების სარაიონო ჯუმლს, აგრეთვე იხილავს ანგარიშებს ამ გეგმებისა და ბიუჯეტების აღსრულების შესახებ.

ბ) შემოიღებს, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრივ გადასახადებს, ამტკიცებს შემოსავალ-გასავლის განაწილებას სარაიონო, სასოფლო და საქალაქო ბიუჯეტებს შორის და აგრეთვე ქონების განაწილებას სარაიონო, სასოფლო და საქალაქო მნიშვნელობის ქონებად;

გ) სწყვეტს ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე სხვა საკითხებს და აძლევს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს სახელმძღვანელო დირექტივებს და დავალებებს;

დ) იხილავს საერთო საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის საკითხებს და შეაქვს მათ შესახებ წინადადებები ზემდგომ ორგანოებში;

ე) იხილავს რაიონის ფარგლებში მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა მოქმედების ანგარიშებს;

ვ) იხილავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის ანგარიშს;

ზ) ირჩევს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს;

თ) ირჩევს დელეგატებს ზემდგომი საბჭოთა ყრილობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

14. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევა წევრთა იმ რაოდენობით, რასაც აწესებს საბჭოთა სარაიონო ყრილობა, ხოლო არა უმეტეს 45 წევრისა და 15 კანდიდატისა.

15. დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება ეძლევა:

ა) გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი და დაადოს ადმინისტრატიული გადასახდელი მათი დარღვევისათვის იმ წესით და იმ ფარგლებში, რაც დადგენილია კანონით;

ბ) გააუქმოს, შესცვალოს და შეაჩეროს ყველა ქვემდგომი საბჭოს და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარე ორგანოების განკარგულებანი;

გ) დაადოს დისციპლინარული გადასახდელი, მომქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, რაიონის, სოფლისა და ქალაქის მომუშავეებს;

დ) მისცეს დასკვნა და ახსნა-განმარტება ყველა წარდგინების შესახებ, რითაც რაიონის ტერიტორიაზე მომქმედი დაწესებულებანი და ორგანიზაციები ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებს მიმართავენ;

ე) აღძრას ზემდგომი ორგანოების წინაშე შუამდგომლობა იმ კანონთა და განკარგულებათა შეცვლის შესახებ, რაც ადგილობრივი პირობების მიხედვით მიზანშეუწონლად უნდა იქნეს ცნობილი;

ვ) იქონიოს იურიდიული პირის უფლებანი.

შენიშვნა. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა კანონთა და განკარგულებათა შეცვლის შესახებ ამ კანონთა და განკარგულებათა მოქმედებას ვერ შეაჩერებს.

16. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა იწვევა ორ თვეში ერთხელ მაინც იმ უმეტესად მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, რაც რაიონს ეხება; სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა კანონიერად ითვლება, უკეთუ მას დაესწრო კომიტეტის წევრთა ნახევარი რიცხვი მაინც.

17. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას შეიძლება დაესწრონენ სათათბირო ხმის უფლებით სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა გამგეები (უკეთუ ისინი აღმასრულებელი კომიტეტის წევრები არ არიან), რაიონის ტერიტორიაზე მყოფი საბჭოების წარმომადგენელნი, რაიონის პროკურორი და აგრეთვე საგანგებოდ მიწვეული პირები.

18. თავის დადგენილებათა და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა და განკარგულებათა აღსრულებისათვის, აგრეთვე ყველა ქვემდებარე ორგანოს მოქმედების ხელმძღვანელობისა და გაერთიანებისათვის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს პრეზიდუმს არა უმეტეს 11 წევრისაგან და 5 კანდიტატისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ერთი სხდომიდან მეორე სხდომამდე აქვს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ყველა უფლება, გარდა იმ საკითხების გადაწყვეტის უფლებისა, რაც აღნიშნულია ამა დებულების მე-13 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში.

20. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომები შესდგება ათ დღეში ერთხელ მაინც.

21. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მინიჭებული უფლების ფარგლებში, ანხორციელებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ყველა საჭირო ღონისძიებას, რაც უნდა აცნობოს პრეზიდიუმს მის უახლოეს სხდომაზე.

22. უკეთუ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ან თავმჯდომარე უმოქმედობას იჩენენ ან ამახინჯებენ კლასიურ პროლეტარულ პოლიტიკას იმ მხრივ, რომ სუსტად ხელმძღვანელობენ რაიონის სოციალისტურად გარდაქმნას და ამასთან დაკავშირებულ კულაკური და კაპიტალისტური ელემენტების სამეურნეო განდევნას და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, აგრეთვე სუსტად მუშაობენ მუშათა, კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ორგანიზაციის საქმეში,—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი უნდა დაიშალოს, ხოლო თავმჯდომარე თანამდებობიდან იქნეს გადაყენებული სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან ზემდგომი ორგანოების დადგენილებით.

ასეთ შემთხვევებში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმი ირჩევს ახალ პრეზიდიუმს და თავმჯდომარეს.

IV. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობის საგანი.

23. საბჭოთა არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობის მოწვევის ორგანიზაციის და ჩატარების სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ნიშნავს საბჭოთა არჩევნების ჩატარების ვადებს რაიონში და საბჭოთა სარაიონო ყრილობის მოწვევის ვადებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი ვადების ფარგლებში;

ბ) აწყობს საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროისათვის სარაიონო საარჩევნო კომისიას და ნიშნავს სასოფლო და საქალაქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს;

გ) ზედამხედველობას უწევს რაიონის ტერიტორიაზე საბჭოთა არჩევნების სწორედ ჩატარებას და აუქმებს საბჭოებისა და სარევიზიო კომისიების იმ არჩევნებს, რომელიც კანონის დარღვევით სწარმოებდა;

დ) ამტკიცებს საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ მოქალაქეთა სიას სოფლებში და სასოფლო საბჭოების მქონე ქალაქებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) სწყვეტს არსებული წესისამებრ საჩივრებს, რაც აღძრულია საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ მიღებულ დადგენილებათა გამო;

ვ) ამტკიცებს სათანადო შემთხვევაში სარაიონო საარჩევნო კომისიის დადგენილებას საარჩევნო უფლების აღდგენის შესახებ.

24. საორგანიზაციო და მასიური მუშაობის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ანხორციელებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ მუშები, კოლმეურნენი, მოჯამაგირენი და აგრეთვე სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხთა ფენები ჩაბმულ იქნენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა, ქვემდგომი საბჭოებისა და მათი სექციების მუშაობაში;

ბ) აწყობს მუშაობას ღარიბებთან და მოჯამაგირეებთან უმნიშვნელოვანესი სამეურნეო პოლიტიკური საკითხების გამო;

გ) ანხორციელებს ღონისძიებებს მშრომელ ქალთა შორის საორგანიზაციო-პოლიტიკური მუშაობის დარგში მათი კლასიურად აღზრდის მიზნით;

დ) ხელმძღვანელობას უწევს სასოფლო საბჭოების სარევიზიო კომისიების მუშაობას და სწყვეტს უთანხმოებას სარევიზიო კომისიებსა და სასოფლო საბჭოებს შორის.

25. ნაციონალური პოლიტიკის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ანხორციელებს რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნებათა შორის ნამდვილი თანასწორობისა და სოლიდარობის პოლიტიკას;

ბ) ანხორციელებს რაიონში ღონისძიებებს ნაციონალურ უმცირესობათა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლებისათვის და მათი საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმისათვის;

გ) ხმარობს სათანადო ღონისძიებებს იმისათვის, რომ ნაციონალურ უმცირესობათ მშობლიურ ენაზე გაეწიოს მომსახურეობა ყველა საბჭოთა და კოოპერატიულ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში.

26. სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი აპარატის გაუმჯობესებისა და ზემდგომი ორგანოების დირექტივების აღსრულების შემოწმების სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ამოწმებს რაიონის ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულების და ორგანიზაციის აპარატის მდგომარეობას და მუშაობას და მათ მიერ ზემდგომი ორგანოების დირექტივების აღსრულებას; ანხორციელებს ღონისძიებებს აპარატის რაციონალიზაციისათვის და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის;

ბ) ანხორციელებს ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან და უყაირათობასთან ბრძოლის ღონისძიებებს.

27. საგეგმო-სასტატისტიკო სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ამუშავებს, ზემდგომი ორგანოების დირექტივების თანახმად, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, საგზაო მშენებლობის და რაიონის მეურნეობის სხვა დარგებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის განვითარების გეგმებს და უდგენს ამ გეგმებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს (ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში —სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს);

ბ) აძლევს თავის ქვემდებარე სასოფლო და საქალაქო საბჭოებს საკონტროლო ციფრებს და დირექტივებს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შესადგენად; იხილავს და ამტკიცებს ამ გეგმებს და ამოწმებს მათ აღსრულებას;

გ) იხილავს საერთო-საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა გეგმების იმ ნაწილს, რაც ეხება მათ მოქმედებას რაიონის ფარგლებში; აძლევს დასკვნას ამ გეგმების შესახებ, ხელს უწყობს და კონტროლს უწევს მათ აღსრულებას;

დ) აწარმოებს სარაიონო სტატისტიკას; ანხორციელებს რაიონის ტერიტორიაზე საერთო-სახელმწიფო აღწერას; ხელმძღვანელობას უწევს სოფლის რწმუნებულთა მუშაობას სტატისტიკის დარგში.

28. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) იღებს სათანადო ღონისძიებებს ღარიბ და საშუალო მეურნეობათა კოლექტივიზაციისათვის და საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანებისათვის; ხელმძღვანელობას უწევს კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული შენაერთების მუშაობას, ხელს უწყობს მათში შრომის სწორ ორგანიზაციას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და შრომის სოციალისტური ფორმების განვითარებას; რეგისტრაციაში ატარებს საკოლმეურნეო და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციების წესდებებს;

ბ) ხელს უწყობს საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობას და მათ მუშაობას, აგრეთვე დახმარებას უწევს სოფლის ელექტრო-მშენებლობას და ყველა სხვა ღონისძიების განხორციელებას, რაც მიმართულია იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობაში გავრცელდეს სამანქანო ტექნიკა და ელექტრო-ენერგია;

გ) ხელმძღვანელობას უწევს საზოგადოებრივი სათესლე ფონდებისა, გასაქირავებელი, მარცვლის საწმენდი და საგრილებელი პუნქტების მოწყობას და გაფართოებას და სხვა სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელებას;

დ) ატარებს თესვისა, მოსავლის აკრეფისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კამპანიებს, უზრუნველჰყოფს მთავრობის დავალებათა აღსრულებას აღნიშნული კამპანიების დარგში;

ე) აწყობს აგრონომიულ და სავეტერინარო-ზოოტექნიკურ სამსახურს, საცდელ და ჯიშიანი ცხოველების მოშენების საქმეს, ანხორციელებს ღონისძიებებს აგრონომიული და ზოოტექნიკური მინიმუმის დარგში, აგრეთვე ხმარობს სათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადო ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო ცოდნის მასიური გავრცელებისათვის;

ვ) იღებს სათანადო ღონისძიებებს მეცხოველეობის განსავითარებლად და გასაუმჯობესებლად, ცოცხალი საწევი ძალის შესანარჩუნებლად და ოთხფეხი საქონლის დაუზოგველი დაკვლის წინააღმდეგ საბრძოლველად; აწესებს ეპიზოოტიის მოსასპობად ჩამორთმეულ და აცრისაგან გაწყდომილ ცხოველთა ზღვრულ ფასებს;

ზ) იღებს სათანადო ღონისძიებებს მებოსტნეობა-მებაღეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალური დარგების განსავითარებლად, აგრეთვე ტეხნიკური კულტურების განსავითარებლად;

თ) განაგებს სარაიონო მნიშვნელობის საადგილ-მამულო ფონდებს და თვალყურს ადევნებს ყველა მიწების სწორ გამოყენებას რაიონის ფარგლებში; ანხორციელებს მიწათმოწყობას ისე, რომ პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნეს კოლექტივიზაციის საჭიროებანი და ღარიბთა ინტერესები; ამტკიცებს სამიწათმოწყობო სამუშაოთა სარაიონო გეგმებს და მიწათმოწყობის პროექტებს, აგრეთვე მელიორაციის პროექტებს; აწარმოებს საადგილ-მამულო რეგისტრაციას;

ი) თვალყურს ადევნებს მიწის იჯარის კანონების განხორციელებას, კერძოდ, იმ კანონების განხორციელებას, რაც ეხება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში მიწის იჯარის აკრძალვას; განსაზღვრავს კომლთა გაყრის წესებს ადგილობრივი პირობების მიხედვით;

კ) თვალყურს ადევნებს ნადირობის წესების აღსრულებას;

ლ) ამტკიცებს, სათანადო ზემდგომი ორგანოების დადგენილებების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სარაიონო გეგმებს;

მ) იზიდავს მოსახლეობის სახსარს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საჭიროებისათვის, ანაწილებს რაიონისათვის საამისოდ მოცემულ ყველა სახსარს და ამოწმებს მათ გამოყენებას დანიშნულებისამებრ.

29. წყალთა მეურნეობისა და წყალსარგებლობის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ანხორციელებს რაიონის ტერიტორიაზე საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მოქმედების მიმართ წყალთა სისტემის შენახვისა და ექსპლოატაციის სფეროში და აძლევს ამ ორგანოებს საერთო დირექტივებს;

ბ) ათანხმებს წყალსამეურნეო სამუშაოთა გეგმებს სახალხო მეურნეობის საერთო გეგმასთან სათანადო რაიონში, ამტკიცებს ცალკეულ წყალსამეურნეო სამუშაოთა კალენდარულ გეგმებს, კერძოდ, წყალსამეურნეო ბეგარის გატარებისა, სარწყავი სისტემების მიმდინარე რემონტისა და წყალდიდობასთან და ნიაღვართან ბრძოლის გეგმებს; თვალყურს ადევნებს ამ გეგმების სისწორით აღსრულებას დადგენილი ვადების მიხედვით;

გ) ათანხმებს წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საერთო ღონისძიებებთან, რაც რაიონის ტერიტორიაზე ხორციელდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სწყვეტს დავას წყლის სარგებლობის შესახებ განსაკუთრებული კანონით გათვალისწინებული წესისამებრ;

ე) ხელმძღვანელობას უწევს წყლის გამოსაღების გამოანგარიშებას და გადახდევინებას.

30. მრეწველობისა და ტყის მეურნეობის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) იღებს ღონისძიებებს რაიონში სახელმწიფო და კოოპერატიული მრეწველობის განსავითარებლად;

ბ) განაგებს სარაიონო მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოებს და აწყობს ახალ საწარმოებს;

გ) იხილავს და ამტკიცებს რაიონის სამრეწველო საწარმოთა ანგარიშებს და ბალანსებს და ანაწილებს მათ მოგებას;

დ) სწყვეტს საკითხებს სარაიონო მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოთა იჯარით გაცემის შესახებ;

ე) ამტკიცებს ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების ხელშეკრულებებს, რასაც დასდებენ სარაიონო სამრეწველო საწარმონი, რომელნიც სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი არ არიან;

ვ) იღებს სათანადო ღონისძიებებს საშინამრეწველო სარეწაოების განვითარებისათვის და შინამრეწველთა კოოპერატიულად გაერთიანებისათვის თვალყურს ადევნებს სარეწაო კოოპერაციის მოქმედებას;

ზ) აწესრიგებს და კონტროლს უწევს კერძო მრეწველობას რაიონში;

თ) თვალყურს ადევნებს სათევზე სარეწაოთა სათანადოდ წარმოებას და თევზის ჭერის წესების აღსრულებას; ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივი მნიშვნელობის ბასეინების დაცვას;

ი) ხელმძღვანელობას უწევს, რაიონის ფარგლებში, სატყეო მეურნეობის წარმოებას ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში და ანაწილებს ამ ტყეებს; ხელს უწყობს სატყეო მეურნეობის სწორედ დაყენებას საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში და თვალყურს ადევნებს ამ ტყეებს.

31. მომარაგებისა და ვაჭრობის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ანხორციელებს სავაჭრო პოლიტიკას და ხელმძღვანელობას უწევს შინაგანი ბაზრის ორგანიზაციას რაიონში კანონებისა და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების დირექტივების თანახმად;

ბ) ანხორციელებს ღონისძიებებს რაიონის საქონლის გამტარი და დამამზადებელი ქსელის რაციონალიზაციისათვის და დამზადებისა და მომარაგების სფეროში წარმოებული მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

გ) ადგენს დამზადებისა და მომარაგების სარაიონო გეგმებს და უდგენს, მათ ზემდგომ ორგანოებს;

დ) უზრუნველჰყოფს პურისა, ხორცისა, ბამბისა, ნედლეულისა და სხვა მასალის დამზადების სახელმწიფო გეგმების თავის დროზე აღსრულებას;

ე) ხელმძღვანელობას უწევს კვების პროდუქტებით და ფართო მოხმარების საგნებით მომარაგების საქმეს, იღებს ღონისძიებებს საზოგადოებრივი კვების განსავითარებლად და აწყობს საჭამადო მრეწველობის საწარმოებს;

ვ) ამუშავებს და ანხორციელებს ღონისძიებებს რეალური სამუშაო ხელფასის დონის ასამაღლებლად;

ზ) იღებს ღონისძიებებს რაიონის საექსპორტო რესურსების გამორკვევისა და გაფართოებისათვის;

თ) აწესრიგებს და კონტროლს უწევს კერძო ვაჭრობას;

ი) აწესრიგებს, დადგენილი წესისამებრ, რაიონის მრეწველობის საქონლისა და ვაჭრობის ფასებს, აგრეთვე კონტროლს უწევს ზემდგომი ორგანოების მიერ დაწესებული ფასების დაცვას;

კ) აწყობს ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაობას ტვირთის ზიდვისათვის და აგრეთვე იღებს სათანადო ღონისძიებებს სასაწყობო მეურნეობის ორგანიზაციისათვის.

32. კოოპერატიული მშენებლობის სფეროში, გარდა კოოპერაციის ცალკეული სახეების მიმართ ქონებული ფუნქციებისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ხმარობს ღონისძიებებს კოოპერაციის განვითარებისა და განმტკიცებისათვის რაიონში;

ბ) ზედამხედველობას უწევს პირველი საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებას რაიონში და შესწყვეტს მათ მოქმედებას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) თვალყურს ადევნებს ადგილობრივი კოოპერატიული კავშირების მოქმედებას და ისმენს მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ.

33. ფინანსების სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ამუშავებს, ზემდგომი ორგანოების დირექტივების თანახმად, სარაიონო ბიუჯეტს და უდგენს მას დასამტკიცებლად საბჭოთა სარაიონო ყრილობას რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტების ჯუმლთან ერთად; უკეთუ ბიუჯეტის შედგენის ვადა ყრილობის მოწვევის ვადას არ ხვდება, ამტკიცებს ბიუჯეტს და რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტების ჯუმლს და უდგენს მათ ზემდგომ ორგანოებს;

ბ) ადგენს რაიონის საფინანსო გეგმას და თვალყურს ადევნებს მის აღსრულებას;

გ) აძლევს თავის ქვემდებარე სასოფლო და საქალაქო საბჭოებს საკონტროლო ციფრებს ბიუჯეტების შესადგენად და ამტკიცებს ამ ბიუჯეტებს;

დ) ასრულებს სარაიონო ბიუჯეტს და თვალყურს ადევნებს რაიონის სასოფლო და საქალაქო ბიუჯეტების აღსრულებას; გადააქვს კრედიტები რაიონის ბიუჯეტით ერთი და იმავე კარის ფარგლებში, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, ერთი კარიდან მეორეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) ჰქმნის მომქმედი კანონმდებლობის თანახმად სპეციალური დანიშნულების ფონდებს და რეგულირების სარაიონო ფონდებს;

ვ) ამუშავებს ადგილობრივ გადასახადთა პროექტებს და უდგენს მათ დასამტკიცებლად საბჭოთა სარაიონო ყრილობას;

ზ) გადასდებს სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხებს სარაიონო ბიუჯეტისათვის და რაიონის სასოფლო და საქალაქო ბიუჯეტებისათვის მომქმედი კანონმდებლობის თანახმად;

თ) ანაწილებს საშემოსავლო წყაროებს და ხარჯებს სარაიონო ბიუჯეტსა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარე სასოფლო და საქალაქო საბჭოების ბიუჯეტებს შორის, აგრეთვე ანაწილებს ქონებას მისი მნიშვნელობის მიხედვით სარაიონო, სასოფლო და საქალაქო ქონებად;

ი) ხელმძღვანელობას უწევს სახელმწიფო გადასახადებისა და არასაგადასახადო შემოსავლის გადახდევინებას რაიონში და სასოფლო-სამეურნეო და სხვა გადასახადებით დასაბეგრი ობიექტების აღნუსხვას; კონტროლს უწევს სასოფლო და საქალაქო საბჭოების მიერ მცირე-ძალოვან მეურნეობათა ანგარიშების მინიჭების საქმეს და აგრეთვე საბოლოოდ ამტკიცებს იმ მეურნეობათა სიას, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან ინდივიალური წესისამებრ; სწყვეტს საჩივრებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში;

კ) სწყვეტს საკითხს ადგილობრივ ბიუჯეტში ჩასარიცხი ადგილობრივი გადასახადისა, გამოსაღებისა და არასაგადასახადო შემოსავლის თანხის გადახდის ვადის გადადებისა, ვადის განაწილებისა და აგრეთვე ამ თანხის მოხსნის შესახებ;

ლ) სახელმწიფო გადასახადების სფეროში ნიშნავს საგადასახადო კომისიების თავმჯდომარეებს;

მ) ხელმძღვანელობას უწევს თვითდაბეგვრის განხორციელებას და თვალყურს ადევნებს თვითდაბეგვრის წესით შეკრეფილი სახსარის სათანადოდ გამოყენებას;

ნ) ზედამხედველობას უწევს საკრედიტო დაწესებულებათა მოქმედებას რაიონში;

ო) იღებს სათანადო ღონისძიებებს სახელმწიფო სესხის გასავრცელებლად და საშემნახველო საქმისა და უნაღდო ანგარიშგასწორების საქმის განსავითარებლად;

პ) იღებს სესხს იმ წესით და იმ ფარგლებში, რაც განსაზღვრულია განსაკუთრებული კანონებით, და ნებასა რთავს ქვემდგომ საბჭოებს სესხის აღებისათვის;

ჟ) ატარებს რაიონში სახელმწიფო დაზღვევას;

რ) რეგისტრაციაში ატარებს იმ საწარმოთ, ორგანიზაციათ და პირთ, რომელნიც მონაწილეობას იღებენ სამეურნეო ბრუნვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. კომუნალური მეურნეობისა და საბინაო მშენებლობის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ხელმძღვანელობას უწევს სოფლებისა და ქალაქების კეთილმოწყობას;

ბ) იღებს სათანადო ღონისძიებებს რაიონის კომუნალური და საბინაო მეურნეობის გასაუმჯობესებლად;

გ) ხელს უწყობს საბინაო კოოპერაციის განვითარებას და თვალყურს ადევნებს მის მუშაობას;

დ) დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რაც მიმართულია კოლმეურნეთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;

ე) თვალყურს ადევნებს მშენებლობას და სამშენებლო წესების აღსრულებას;

ვ) აწარმოებს კომუნალური და საბინაო მეურნეობის აღნუსხვას და შეფასებას (ინვენტარიზაციას) და ხელმძღვანელობას უწევს ამ მუშაობის ჩატარებას ქალაქებსა და სოფლებში;

ზ) აწყობს სახანძრო საქმეს რაიონში და სასოფლო ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობას.

35. საგზაო მეურნეობისა და ადგილობრივი ტრანსპორტის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) აწარმოებს მუშაობას საგზაო მშენებლობის დარგში სარაიონო მნიშვნელობის გზებზე;

ბ) თვალყურს ადევნებს საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების მდგომარეობას;

გ) ხელმძღვანელობას უწევს სასოფლო საბჭოების მიერ წარმოებულ საგზაო მშენებლობას, იღებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ განხორციელდეს მოსახლეობის თვითმოქმედების ორგანიზაცია და მისი შრომითი მონაწილეობა საგზაო მშენებლობაში;

დ) ანაწილებს სასოფლო საბჭოებს შორის სარაიონო საგზაო ფონდს და სხვა ფულად სახსარს, რაც გადადებულია საგზაო მშენებლობისათვის;

ე) აწარმოებს სარაიონო და სასოფლო მნიშვნელობის გზების აღნუსხვას და აგრეთვე საავტომობილო და საჭაპანზიდვო ტრანსპორტის აღნუსხვას.

36. კავშირგაბმულობის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ხელს უწყობს კავშირგაბმულობის დაწესებულებათა მუშაობას;

ბ) ყოველგვარ ღონისძიებებს ხმარობს სოფლების ფართო ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციისათვის;

გ) მონაწილეობას იღებს რაიონში კავშირგაბმულობის მოწყობის გეგმებისა და პროექტების დამუშავებაში;

დ) მონაწილეობას იღებს კავშირგაბმულობის მშენებლობის დაფინანსებაში და დახმარებას უწევს ამ მშენებლობას სამუშაო ძალისა და საშენი მასალის მიღების საქმეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) კონტროლს უწევს კავშირგაბმულობის დაწესებულებათა მუშაობას რაიონში.

37. შრომის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) თვალყურს ადევნებს შრომის კანონთა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა აღსრულებას;

ბ) არკვევს და აღნუსხავს თავისუფალ მუშა-ხელს; კონტროლს უწევს მუშა-ხელის შეგროვების ოპერაციების წარმოებას და აღმოუჩენს დახმარებას სამეურნეო ორგანოებს მუშა-ხელის შეგროვების საქმეში; აწარმოებს ბრძოლას მუშა-ხელის დენადობასთან და თვალყურს ადევნებს მუშა-ხელის მიზანშეწონილ გამოყენებას;

გ) ანხორციელებს, დადგენილი წესისამებრ, ღონისძიებებს სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ნორმირების დარგში;

დ) ანხორციელებს ღონისძიებებს შრომის პირობების მოწესრიგების და გაჯანსაღებისათვის და აგრეთვე მუშათა და მოჯამაგირეთა საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობების გაუმჯობესებისათვის;

ე) აწყობს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შრომითი კონფლიქტების გარჩევას სამომრიგებლო-სამედიატორო წესით და ზედამხედველობას უწევს ამ კონფლიქტების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებას;

ვ) ხელმძღვანელობას უწევს შრომითი, სატრანსპორტო და საგზაო ბეგარის განხორციელებას.

38. სახალხო განათლების სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) უზრუნველჰყოფს საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის განხორციელებას და ატარებს სათანადო ღონისძიებებს სკოლის პოლიტეხნიზაციისათვის;

ბ) აწესებს სარაიონო მნიშვნელობის საგანმანათლებლო და აღზრდის დაწესებულებათა ქსელს და განაგებს ამ დაწესებულებებს; ანვითარებს მასიურ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო და სამხატვრო მუშაობას; აწარმოებს ბრძოლას ძველი ყოფაცხოვრების ნაშთებთან, განსაკუთრებით კულტურულად ჩამორჩენილ ნაციონალურ უმცირესობათა შორის;

გ) აწყობს ბავშთა სკოლის ასაკამდე აღზრდას და მათ საზოგადოებრივ აღზრდას; აწყობს უღარიბეს მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის საქმეს;

დ) ხელმძღვანელობას უწევს ბავშთა უპატრონობასთან წარმოებულ ბრძოლას და არასრულწლოვანთა სოციალურ-უფლებრივი დაცვის საქმეს;

ე) ნიშნავს, ითხოვს და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავს სახალხო განათლების იმ დაწესებულებათა პედაგოგიური პერსონალი, რომელნიც სარაიონო და სასოფლო ბიუჯეტზე იმყოფებიან; ანხორციელებს ღონისძიებებს განათლების მომუშავეთა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) კონტროლს უწევს ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებს და სხვადასხვა სანახაობას;

ზ) ხელმძღვანელობას უწევს სარაიონო მნიშვნელობის სახელმწიფო სამუზეუმო და სამხატვრო დაწესებულებებს და ხელოვნების, სიძველის და ბუნების ძეგლთა დაცვას; იღებს ღონისძიებებს მხარეთმცოდნეობის სფეროში მუშაობის განსავითარებლად.

39. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) აწესებს რაიონის სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა ქსელს, განაგებს სარაიონო მნიშვნელობის სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებებს; ნიშნავს და ითხოვს სარაიონო და სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ სამედიცინო-სასანიტარო დაწესებულებათა საექიმო პერსონალს;

ბ) აწყობს სანიტარულ ზედამხედველობას და იღებს საჭირო ღონისძიებებს გადამდებ, სოციალურ და პროფესიონალურ ავადმყოფობათა წინასწარ აღსაკვეთად და მათთან საბრძოლველად; აწყობს სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობას;

გ) აწყობს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებს;

დ) თვალყურს ადევნებს სამედიცინო მომუშავეების პროფესიონალურ მუშაობას, რაც კერძო პრაქტიკის წესით სწარმოებს;

ე) უზრუნველჰყოფს ღონისძიებათა გატარებას დედათა და ბავშვთა დაცვისა და აგრეთვე ბავშთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

40. სოციალური უზრუნველყოფის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) განაგებს რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ პირთა აღნუსხვის საქმეს, რომელნიც აყვანილ უნდა იქნენ სოციალურ უზრუნველყოფაზე, უნიშნავს მათ პენსიებსა და დახმარებას და ანხორციელებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამ პირთა შრომითი მოწყობა; აწყობს რაიონის მასშტაბით სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებს (საინვალიდო სახლები, კოლონიები, სახელოსნოები და სხვა);

ბ) ანხორციელებს ღრმა მოხუცებულთა სოციალურ უზრუნველყოფას მცირეძალოვან გლეხთაგან;

გ) მომქმედი კანონის თანახმად უზრუნველჰყოფს პერსონალური პენსიებით იმ პირებს, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობის დამსახურება აქვთ;

დ) თვალყურს ადევნებს სოციალურად უზრუნველყოფილ პირთათვის კანონით დადგენილი შეღავათების განხორციელებას;

ე) დახმარებას აღმოუჩენს კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ პირთ და მეურნეობათ, რისთვისაც შექმნის განსაკუთრებულ ფონდებს;

ვ) დახმარებას უწევს გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებებს და აგრეთვე დახმარებისა და ურთიერთ დახმარების სხვა ორგანიზაციებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) ანხორციელებს იმ ფუნქციებს, რაც მას დაკისრებული აქვს კანონით მეურვეობისა და მზრუნველობის შესახებ.

41. ქვეყნის თავდაცვის სფეროში საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) აწარმოებს რაიონში სამხედრო მსახურთა და სამხედრო-ვალდებულთა ყველა სახის სამხედრო აღნუსხვას, მონაწილეობას იღებს ჯარში გაწვევისა და მობილიზაციისა და აგრეთვე სამხედრო მსახურთა ყველა სახის შეკრების ჩატარებაში; ხელმძღვანელობას უწევს სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდებისა და დეზერტირობის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას;

ბ) აწარმოებს ცხენთა შედგენილობის, საზიდავების, შესაბმელი გაწყობილობის, საავტომობილო და სხვა ტრანსპორტის აღნუსხვას და მონაწილეობას იღებს ამ სახის ბეგარის ჩატარებაში; აწარმოებს ბრძოლას საწევი ძალის მიწოდებისაგან თავის არიდების წინაღმდეგ;

გ) ხელს უწყობს ტერიტორიალურ ნაწილებს და ადგილობრივი სამხედრო სამმართველოს ორგანოებს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რაც დაკავშირებულია ტერიტორიალური ჯარების მშენებლობასთან; განაგებს შესაკრები, სასწავლო და ჩასაბარებელი პუნქტების გაწყობისა და შენახვის საქმეს; უზრუნველჰყოფს ბინითა და გადასაზიდი საშვალებით სამეთაურო შემადგენლობის იმ პირთ, რომელნიც რაიონში მოდიან ტერიტორიალური ნაწილების შესავსებად;

დ) ხელს უწყობს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილების მატერიალური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას; მომსახურეობას უწევს ამ ნაწილებს ბინებით უზრუნველყოფის მხრივ;

ე) თვალყურს ადევნებს ყველა იმ შეღავათისა და უპირატესობის ნამდვილად განხორციელებას, რაც მინიჭებული აქვთ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთ და მათ ოჯახებს;

ვ) ხელს უწყობს იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობის განვითარებას, რომელნიც ეხმარებიან ქვეყნის თავდაცვის უნარის გაძლიერების საქმეს.

42. სასამართლო-საგამომძიებლო სფეროში საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ირჩევს, არსებული წესისამებრ, სახალხო მოსამართლეებს და უკან იწვევს მათ საქართველოს სსრ, აფხაზეთის ავტონომიური სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ ან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უზენაეს, უმაღლეს ან მთავარ სასამართლოებთან შეთანხმებით;

ბ) ხელმძღვანელობას უწევს რაიონში სახალხო მსაჯულების არჩევის ჩატარებას, როგორც სახალხო სასამართლოების, ისე უზენაესი, უმაღლესი და მთავარი სასამართლოების გამსვლელი სესიებისათვის;

გ) ამტკიცებს სოფლის საზოგადოებრივი სასამართლოების თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს;

დ) საზღვრავს რაიონის სანოტარო კონტორების ქსელს და ადგენს დასამტკიცებლად რაიონში მომუშავე ნოტარიუსებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) აწყობს იურიდიულ დახმარებას მოსახლეობისათვის;

ვ) თვალყურს ადევნებს დამცველთა კოლეგიის წევრების მოქმედებას რაიონში, საჭირო შემთხვევაში მოითხოვს მათ გადგინებას და აღძრავს საკითხს მათი უკან გაწვევის შესახებ;

ზ) თვალყურს ადევნებს რაიონის ტერიტორიაზე არსებულ საპატიმრო ადგილებს;

თ) აწყობს იძულებითს სამუშაოებს დაუპატიმრებლად.

43. რევოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) უზრუნველჰყოფს რაიონის ტერიტორიაზე რევოლიუციონურ წესრიგს და საზოგადოებრივ უშიშროებას;

ბ) აძლევს მუშათა და გლეხთა მილიციის ადგილობრივ ორგანოებს მინიშნებას იმ საკითხების გამო, რაც მილიციის მოვალეობათა სფეროს ეკუთვნის;

გ) ანხორციელებს ღონისძიებებს სტიქიური უბედურების წინააღმდეგ საბრძოლველად;

დ) ანხორციელებს იმ უფლებებს, რაც სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს მინიჭებული აქვთ რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებათა დებულების თანახმად;

ე) თვალყურს ადევნებს ადმინისტრატიული გადასახდელის სწორედ დადებას რაიონის ტერიტორიაზე.

44. საერთო მმართველობის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ხელმძღვანელობას უწევს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას; რეგისტრაციაში ატარებს გვარისა და სახელის გამოცვლის აქტებს;

ბ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს ნებაყოფლობითს საზოგადოებებს და თვალყურს ადევნებს მათ მოქმედებას; ამტკიცებს და რეგისტრაციაში ატარებს იმ საზოგადოებათა და კავშირთა წესდებებს, რომელნიც მოგებას არ მისდევენ, უკეთუ ამ საზოგადოებათა და კავშირთა მოქმედება რაიონის ფარგლებს არ სცილდება; რეგისტრაციაში ატარებს იმ საზოგადოებათა და კავშირთა სარაიონო განყოფილებებს, რომელნიც მოგებას არ მისდევენ;

გ) აძლევს ნებართვას სარაიონო კონფერენციებისა, ყრილობებისა და თათბირების მოწვევისათვის;

დ) ზედამხედველობას უწევს რელიგიურ შენაერთთა შესახებ მომქმედი კანონების დაცვას.

45. საარქივო საქმის სფეროში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ხელმძღვანელობას უწევს საარქივო საქმეს რაიონში და აწყობს სახელმწიფო საარქივო ფონდის მასალების დაცვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი.

46. რაიონის მმართველობისა და მეურნეობის ცალკეული დარგების სამუშაოთა შესასრულებლად სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში ეწყობა შემდეგი განყოფილებანი: ა) საორგანიზაციო, ბ) საადგილმამულო, გ) საფინანსო, დ) ადგილობრივი მეურნეობის, ე) სახალხო განათლების, ვ) საგეგმო კომისია და ზ) სარაიონო მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

შენიშვნა 1. იმ რაიონებში, რომლებსაც გზების დიდი ქსელი აქვთ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით შეიძლება მოეწყოს საგზაო მეურნეობის განყოფილება.

შენიშვნა 2. საგეგმო კომისიის ხელმძღვანელობა ეკისრება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს.

შენიშვნა 3. რაიონში მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებისა და აგრეთვე სასამართლო ორგანოების მოწყობა განისაზღვრება სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის სპეციალური კანონმდებლობით ამ ორგანოთა შესახებ.

47. გარდა 46 მუხლში აღნიშნული განყოფილებებისა, თვითეულ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან განწესებულია მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო სამმართველო და სარაიონო ინსპექტორები: ა) მომარაგების, ბ) საგზაო მეურნეობის, გ) ჯანმრთელობის დაცვის, დ) შრომის, ე) სოციალური უზრუნველყოფის, ვ) სამხედრო საქმის და ზ) ფიზიკური კულტურის.

შენიშვნა 1. სამხედრო საქმის ინსპექტორი ექვემდებარება რა საერთო საფუძველზე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, თავდაცვის საქმის ხაზით ექვემდებარება რაიონის სამხედრო კომისარს.

შენიშვნა 2. რაიონში მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების მოწყობა განისაზღვრება სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის სპეციალური კანონმდებლობით ამ ორგანოების შესახებ.

48. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი და ინსპექტორები მოქმედობენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულებების თანახმად.

დებულებებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებების და ინსპექტორების შესახებ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში გამოსცემენ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები; ამასთანავე დებულებები იმ განყოფილებებისა და ინსპექტორების შესახებ, რომელნიც საერთო და გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებს ექვემდებარებიან, შეთანხმებულ უნდა იქნენ საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატებთან.

49. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა სათავეში სდგანან განყოფილებათა გამგეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საადგილ-მამულო განყოფილების გამგე იმავე დროს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა.

50. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა გამგეებს და ინსპექტორებს ნიშნავს და უკან იწვევს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, რაც უნდა ეცნობოს სათანადო სახალხო კომისარიატს ან სხვა ცენტრალურ დაწესებულებას.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ან მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის სათანადო სახალხო კომისარიატს და სხვა ცენტრალურ დაწესებულებას აქვს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების გამგის და ინსპექტორის გადგინების უფლება მათი დანიშვნის დროს და აგრეთვე პროტესტის უფლება მათი თანამდებობიდან განთავისუფლების დროს.

უთანხმოების შემთხვევაში საკითხს გადასწყვეტს სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

51. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა გამგეები და ინსპექტორები პასუხისმგებელი არიან თავიანთი მუშაობისათვის და ყველა მათი ქვემდებარე დაწესებულებისა და საწარმოს მუშაობისათვის, როგორც სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, ისე სათანადო სახალხო კომისარიატებისა ან სხვა ცენტრალური ორგანოების წინაშე.

52. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების ან ინსპექტორის განკარგულება შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ და შეჩერებულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის მიერ და აგრეთვე სათანადო სახალხო კომისარიატის ან ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოს მიერ (მუხ. 72).

53. უკეთუ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმისა და სახალხო კომისარიატის ან სხვა სათანადო ცენტრალური ორგანოს განკარგულებათა შორის შეუთანხმებლობაა,—განყოფილების გამგე დაუყოვნებლივ აცნობებს ამას სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ვალდებულია ხუთი დღის ვადაზე ან გააუქმოს თავისი განკარგულება, ან და გამოიყენოს მისთვის ამა დებულებით (მუხ. 70) მინიჭებული უფლება ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა შეჩერებისა.

VI. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სექციები.

54. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრაქტიკულ მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩასაბმელად და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ განსახილველი საკითხების წინასწარ დასამუშავებლად, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან ეწყობა სექციები მისი მუშაობის ცალკეული დარგების მიხედვით.

55. ყველა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისათვის სავალდებულოა მოაწყოს შემდეგი სექციები: ა) საბჭოთა აღმშენებლობის და აღსრულების კონტროლის სექცია; ბ) მრეწველობის, შრომის და მომარაგების სექცია; გ) სოფლის მეურნეობის სექცია; დ) საფინანსო-საბიუჯეტო სექცია; ე) სახალხო განათლების სექცია; ვ) ჯანმრთელობის დაცვის სექცია.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სექციები ეწყობიან და მოქმედობენ მათ შესახებ გამოცემული განსაკუთრებული დებულების თანახმად.

VII. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრები და კანდიდატები.

56. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრები და კანდიდატები ვალდებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი განყოფილებებისა, სექციებისა, კომისიებისა და სხვ. ყოველდღიურ მუშაობაში, კერძოდ, შეასრულონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის მიერ დაკისრებული დავალებანი.

57. თვითეულ წევრს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობისას უფლება აქვს, უკეთუ იგი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის რომელსამე დადგენილებას არ ეთანხმება, განაცხადოს თავისი განსაკუთრებული აზრი და მოითხოვოს ამ აზრის ოქმში შეტანა.

58. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სათათბირო ხმის უფლებით სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარე ტერიტორიაზე მომქმედ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სხდომებსა და თათბირებში. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სახელით გამოსვლა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილია სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის მიერ.

შენიშვნა. განსაკუთრებულ საიდუმლო თათბირზე დასწრება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრს შეუძლიან მხოლოდ განსაკუთრებული წესისამებრ, რაც დადგენილია ასეთი თათბირებისათვის.

59. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი რაიონის ტერიტორიის ფარგლებში არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს და სამართალში მიიცეს, უკეთუ ეს წინასწარ არ ეცნობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ან მის თავმჯდომარეს.

უკეთუ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი დაპატიმრებულ იქნა რაიონის ფარგლებს გარეთ, ორგანო, რომელმაც იგი დააპატიმრა, ვალდებულია აცნობოს ეს გარემოება იმ აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის წევრიც არის დაპატიმრებული.

60. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ვალდებულია გააცნოს მშრომელებს, არსებული წესისამებრ, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობა.

61. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ამა დებულებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებს დისციპლინარული, ხოლო სათანადო შემთხვევაში—სისხლის სამართლის წესით.

62. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გამოირიცხება აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობიდან ამ უკანასკნელის დადგენილებით შემდეგ შემთხვევაში:

ა) უკეთუ იგი თავის მუშაობაში კლასიურ პროლეტარულ პოლიტიკას დაამახინჯებს;

ბ) უკეთუ იგი ჩაიდენს გამაწბილებელ საქციელს ან დანაშაულს;

გ) უკეთუ იგი დაჰკარგავს საარჩევნო უფლებას;

დ) უკეთუ იგი მუდმივ საცხოვრებლად რაიონის ფარგლებს გარეთ წავა.

სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან გარიცხოს თავისი შედგენილობიდან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ წევრი განაცხადებს, რომ სურს თავისი უფლებამოსილობა მოიხსნას.

63. უკეთუ სარაიონო აღმასრულებელი კომტეტის წევრი მისი შედგენილობიდან გამოვა, მას შესცვლის კანდიდატი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

კანდიდატი შესცვლის აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის იმ წევრს, რომელიც სხდომაზე არ გამოცხადდა, უკეთუ აღმასრულებულ კომიტეტს თავის დროზე ეცნობა, რომ ეს წევრი სხდომაზე არ გამოცხადდება.

64. კანდიდატებზე გავრცელდება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ყველა უფლება-მოვალეობა, გარდა გადამწყვეტი ხმის უფლებისა, რაც მათ აქვთ მხოლოდ წინა მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში; ყველა დანარჩენ შემთხვევაში კანდიდატს აქვს სათათბირო ხმის უფლება.

VIII. ხელისუფლების სარაიონო და ზემდგომი ორგანოების ურთიერთობა.

65. საბჭოთა სარაიონო ყრილობის დადგენილება შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ ან შეჩერებულ იქნეს ზემდგომი საბჭოთა ყრილობისა და აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

66. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ექვემდებარება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო უკეთუ რაიონი ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის შედგენილობაში შედის—უშუალოდ სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა ან ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისათვის სავალდებულოა სსრ კავშირის, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისართა საბჭოების დადგენილებანი და განკარგულებანი, ხოლო იმ რაიონებში, რომელნიც ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის შედგენილობაში შედიან,—აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებანი და განკარგულებანი.

ხელისუფლების აღნიშნულ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ, შესცვალონ და გააუქმონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი და განკარგულებანი.

67. სსრ კავშირის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატები მიმართავენ საქართველოს სსრ ხელისუფლების სარაიონო ორგანოებს თავიანთი რწმუნებულების მეშვეობით ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან, და აგრეთვე საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, უკეთუ უკანასკნელთან სათანადო რწმუნებული იმყოფება.

საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატების რწმუნებულები ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მიმართავენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ხელისუფლების სარაიონო ორგანოებს ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით, ხოლო საქართველოს სსრ ხელისუფლების დანარჩენ სარაიონო ორგანოებს—უშუალოდ.

68. სსრ კავშირის გაერთიანებული სახალხო კომისარიატები მიმართავენ საქართველოს სსრ ხელისუფლების სარაიონო ორგანოებს ა/კსფსრ-ის თანაბარი სახელწოდების სახალხო კომისარიატების მეშვეობით.

ა/კსფსრ-ის გაერთიანებული სახალხო კომისარიატები მიმართავენ საქართველოს სსრ ხელისუფლების სარაიონო ორგანოებს საქართველოს სსრ-ის თანაბარი სახელწოდების სახალხო კომისარიატების მეშვეობით.

შენიშვნა. სსრ კავშირის სახალხო კომისარიატების უშუალო ურთიერთ მიმართვა ხელისუფლების სარაიონო ორგანოებთან შეიძლება ცალკეული სახალხო კომისარიატებისათვის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური დადგენილების საფუძველზე.

69. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატები ხელისუფლების სარაიონო ორგანოებს მიმართავენ უშუალოდ.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ხელისუფლების სარაიონო ორგანოებს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატები მიმართავენ: ის სახალხო კომისარიატები, რომელთაც ამ რესპუბლიკებსა და ოლქში თავიანთი რწმუნებულები ჰყავთ,—ამ რწმუნებულების მეშვეობით; ის სახალხო კომისარიატები, რომლებიც სახელმწიფო მმართველობის გაერთიანებულ დარგებს განაგებენ,—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სათანადო ცენტრალური ორგანოების მეშვეობით; ხოლო სხვა სახალხო კომისარიატები—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით.

70. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს შეაჩეროს საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სახალხო კომისარიატებისა ან სათანადო ცენტრალური ორგანოების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ეს გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი აშკარად ეწინააღმდეგება იმ ორგანოების განკარგულებას, რომელთაც ეს სახალხო კომისარიატები ექვემდებარებიან. გადაწყვეტილებისა და განკარგულების შეჩერება ერთსა და იმავე დროს ტელეგრაფით უნდა ეცნობოს როგორც იმ ორგანოს, რომლის განკარგულებაც შეჩერებულია, ისე სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ან ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—კუთვნილებისამებრ, რომელნიც საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტენ.

71. გადაუდებელ შემთხვევაში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს საქართველოს სსრ-ის, ა/კსფსრ-ის და სსრ კავშირის სათანადო ცენტრალურ ორგანოებს პირდაპირ—საშუალედო (ავტონომიური, რესპუბლიკანური, ფედერატიული) ორგანოების გარეშე, ხოლო ეს იმავე დროს აუცილებლად უნდა აცნობოს ამ უკანასკნელ ორგანოებს.

72. სახალხო კომისარიატებს უფლება აქვთ შეაჩერონ, შესცვალონ და გააუქმონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებებისა და ინსპექტორების განკარგულებანი.

ამ განყოფილებებისა და ინსპექტორების ის განკარგულებანი, რაც სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას ემყარება, შეიძლება შეჩერებულ, შეცვლილ ან გაუქმებულ იქნეს მხოლოდ ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. თებერვლის 22.
ტფილისი.

მთავლიტი № 1073. საქ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა. ტირაჟი. 1300.